მოდული MODULI
შ.პ.ს. LTD
მის.: ქ. თბილისი 0160, საბურთალოს ქ. №43ბ
ტელ.: (+995 32 ) 236 77 98 ფაქსი (+995 32) 236 77 86
ვებ-გვერდი – www.moduli.ge ; ელ-ფოსტა – moduli@moduli.ge
43b Saburtalo street, 0160 Tbilisi, Georgia
tel.: (+995 32 ) 236 77 98 fax (+995 32) 236 77 86
Web-site: www.moduli.ge E-mail: moduli@moduli.ge

№6 18.11.2021 წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას

გაცნობებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში შპს „მოდულის“ ID 205035914 მოთხოვნის საფუძველზე, მიმდინარეობს საქმისწარმოება მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე. იმდენად, რამდენადაც საჯარო რეესტრის შესაბამის ამონაწერში ფიქსირდება ჩანაწერები ყადაღის შესახებ, სსიპ არქიტექტურის სამსახურის 12/11/2021 წლის N 5682007 გადაწყვეტილებით (AR186014) განმცხადებელს მოეთხოვა წარმოედგინა შესაბამის ამონაწერში რეგისტრირებული ყადაღის საფუძვლები სრულყოფილად (ყველა დოკუმენტი) და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კრედიტორების მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საჩივრის საფუძველზე, 2021 წლის 13 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 4 მარტის N92093 წერილის შესაბამისად, ყადაღა დაედო შპს „მოდულის“ ID 205035914 საკუთრებაში არსებულ ყველა უძრავ ქონებას, მათ შორის, იმ ქონებას, რომელზედაც მოთხოვილია შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით გასცეთ თანხმობა, შპს „მოდულის“ ID 205035914 მიერ მოთხოვილი მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება არ იწვევს აკრძალვის მასაში მოხვედრილი ქონების ღირებულების კლებას.

შპს „მოდული“-ს (ID 205035914) დირექტორი

მანანა ნაკაშიძე- მანანა ნაკაშიძე